…ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!  ხუთშაბათი, 1 იანვარი 1925 წ.  წელიწადი მეხუთე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
F329/847
Библиотека

# წითელი მეომარი

1 (689)  1ლა 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ყვანგულოვის ქუჩა  საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## …ხალის და ძველის საზღვარზე.

…ულდა 1924 წელი. გა…ართ 1925-ში.

მივაღწიეთ და რას წა…ვგენთ?—აი კითხვა რომე…მთელი თავისი სიგრძე-სი…იჭრება ჩვენს წინაშე.

…ლი 1924 წელი უნდა …ოს ერთ ერთ დიდი …ობის საფეხურით საბ…კავშირის განვითარების …აში.

…ირველი წელია პროლე…ის დიქტატურის ხანაში, …უშურ-გლეხურ რესპუ… საჭესთან და მსოფლიო …იუციის სათავეში აღარ …უვარელი ბელადის-ლე…იგურა.

…ველი წელია, როდე…ოთა კავშირი კომუ… პარტიის ხელმძღვა…ით უშელადოთ განაგრ…კტომბრის საქმეს.

…იჭრება კითხვა: ხომ არ …ალა ხელი ბელადის სი…მა? წავედით წინ თუ …ავ ხიეთ?

…ბი ერთია—საბჭოთა კა… კომპარტიის მეთაურო…ითი დღე ძლიერდება …ჩერებლივ მტკიცედ მიი…ან ბელადის ნაჩვენებ …ასახულ მიზნისაკენ.

…4 წელში განმტკიცდა …საერთაშორისო და შინ… მდგომარეობა.

…ი მძიმე მრეწველობა … ნელის ნაბიჯით, მაგრამ … განაგრძობს წინსვლას.

…ქი მრეწველობა ძლიერ…დება. სამუდამოთ განმტ… ფინანსიური მდგომარე…მტკიცე ფულის ნიშნების …ებით. ეს გარემოება სა… დაედო ურყევი სა…ფო ბიუჯეტს (ხარჯებს).

…ობლად აიწია ს…ფ…მეურნეობა. საერთოდ და …ნად გაუმჯობესდა მუ… და გლეხთა მატერიალუ…ომარეობა. ასეთია ჩვე…აური მდგომარეობის … სურათი.

არა ნაკლები მიღწევებია საგარეო ფრონტზეც:

ჩვენი შინაური პოლიტიკურ-ეკონომიურ განმტკიცებამ ხელი შეუწყო საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებასაც.

თითქმის ყველა მსხვილი ევროპის სახელმწიფოებმა იცნეს საბჭოთა კავშირი და გაძლიერდა მათთან ეკონომიური ურთიერთობა. თუმცა ორი დიდი იმპერიალისტური სახელმწიფო ამერიკა და იაპონია განზე დგანან და არ უცნიათ ჯერ საბჭოთა ქვეყნები, მაგრამ ისეთივე ისტორიული აუცილებლობა აიძულებს მათ გადადგან ეს ნაბიჯი, როგორც სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებმა ქნეს ეს.

საბჭოთა კავშირი გახდა უძლიერესი საერთაშორისო ძალად, რომელსაც იძულებულია ანგარიში გაუწიოს მთელმა კაპიტალისტურ მსოფლიომ.

ამ რიგად ბელადის სიკვდილმა არამც თუ არ შეუშალა ხელი ჩვენი წინსვლას, პირიქით მან უფრო შეამჭიდროვა ჩვენი რიგები, უფრო გაზარდა პასუხისმგებლობის შეგნება თვითეულ ჩვენგანში და გაასკეცა ჩვენი ენერგია.

ჩვენ ბევრს მივაღწიეთ, ბევრი სიძნელენი გადავლახეთ, მაგრამ წინ უფრო მეტი შრომა და ჯაფა გვიდევს.

მაგრამ ეს არ გვაშინებს.

კომუნისტური პარტია—აი ბელადის ღირსეული მემკვიდრე, რომელსაც ისევე მტკიცედ, ისევე შეურყევლად მიყავს საბჭოთა გემი აღთქმულ ქვეყნისაკენ, როგორც თვით გენიალურ ბელადის ნაცად ხელს.

ჩვენ გავიზარდეთ, ჩვენ გავძლიერდით, ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ასეთია წარსული წლის შინაარსი და მომავლის პერსპექტივა.

## „ყრილობის წინ“.

(ამხ. სტოძლიცკის წერილი.)

…თაურით გაზეთ „იზვე…ში მოთავსებულია ამხ. …ცკის წერილი. ავტორი …მასწავლებელთა მომავალ …ბას, რომელიც მოხდე…კოვში 11 იანვარს.

…ეს-ამბობს ამხ. სტოკ…ი… …ცა გლეხობის ფართე … მიზიდვა საზოგადოე… საქმეში უკვე პრაქტიკ…ორციელდება,—ჩვენმა …ებლობამ უნდა შეიტა… საქმეში მთელი თავისი ცოდნა და კულტურული გამოცდილება.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი საბჭოთა მასწავლებლისმასწავლებელია არა მარტო სოფლის სკოლაში, არამედ მისი ადგილია გლეხთა ურთიერთ დახმარების საზოგადოებაში, სოფლის კოოპერაციაში, ქოხ-სამკითხველოში და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში სოფლად. სადაც კი იქმნება ახალი ძლიერება, ახალი ფორმები-სოფლის მასწავლებელი ყოველგან თავის ადგილზე უნდა იყვეს.

შეუძლია თუ არა ჩვენს სოფლის მასწავლებელს იკისროს ასეთი დიდი პასუხისმგებლობა? შეუძლია თუ არა შეასრულოს მან ამდენი საქმე, როცა ის ასეთ მძიმე პირობებში იმყოფება?

ჩვენ ამ საკითხში ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ ჩვენს მასწავლებელს.

ჩვენ უნდა შევუქმნათ ჩვენს სოფლის მომუშავეებს ისეთი გარემოება, რომელიც შეუმსუბუქებს მას მძიმე ამოცანების შესრულებას.

ამ ყრილობაზე მუშურ-გლეხური მთავრობა ყურადღებით გადასინჯავს ჩვენი მასწავლებლობის მატერიალურ საჭიროებას და იდეიურ მოთხოვნილებას.

ის მოითხოვს ყურადღებას, როგორც მთავარი მამოძრავებელი საბჭოთა კულტურისა სახალხო მასებში.

საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა საერთო ინტერესები და ჩვენი პოლიტიკის სხვა ძირითადი საკითხები, როგორც მაგ. ქალაქისა და სოფლის დაახლოება,—იპოვიან აშკარა გამოხატულებას აღნიშნულ ყრილობაზე და უფრო სრულიად და უნაკლოდ იქნებიან გადაჭრილი მშრომელთა ინტერესების სასარგებლოდ“.

## შტრეზემანი კელნის ზონის დაცლის გადადების შესახებ.

დოუესის გეგმის თანახმად დადებულ ხელშეკრულებისა, მოკავშირეებს უნდა გაეყვანად კელნის ზონიდან თავისი საოკუპაციო ჯარები 10 იანვრისთვის და გაეთავისუფლებიათ გერმანიის ტერიტორია.

მაგრამ მოკავშირეებმა ბრალი მისდეს გერმანიას, რომ ის ომის ფარულ სამზადისშიაო და ამით სურთ გაახანგრძლივონ კელნის ზონის დაცლა.

ამ საკითხის გარშემო პრესის წარმომადგენლებთან საუბარში შტრეზემანმა განაცხადა: „მეგონა რომ დოუესის გეგმის მიღებამ შეთანხმების ახალი ხანა გახსნა მსოფლიო პოლიტიკაში, თუმცა გერმანიის ნაციონალისტები, ტევტონელები და კომუნისტები ამის წინააღმდეგი იყვნენ. მაგრამ მდგომარეობას ართულებს ის, რომ შეთანხმების მომხრენი, როგორც ჩანს, მარცხდებიან საბოლოო მიზნის განხორციელების დროს“. ბოლოს შტრეზემანი ბრალს სდებს გერმანიას და ამბობს, რომ თუ არ იქნება მიღწეული დათმობა კელნის ზონის საკითხში, ეს დაგვიმტკიცებს გერმანიის პოლიტიკის გაკოტრებას საკითხში—დოუესის გეგმის შესახებ.

## სარგებლობენ შემთხვევით.

პარიზში განახლდა საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება. ბერლინის წრეებში შიშობენ, რომ საფრანგეთის მთავრობა სცდილობს გამოიყენოს კელნის ზონის ევაკუაციის (დაცლის) საკითხი, მოახდინოს ძალდატანება გერმანიაზე და დაადებინოს ხელშეკრულება თავის სასარგებლოთ.

## „კაზიონი“ იმედიანობა.

## იტალიის მთავრობის ოფიციალური ცნობა.

სტეფანის სააგენტო იუწყება: „მინისტრთა საბჭომ მუსოლინის თავმჯდომარეობით მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ხაზგასმით არის აღნიშნული მინისტრების ერთ სულოვნება მდგომარეობის შეფასებაში, რომელიც შექმნა უპასუხისმგებლო პირებმა ეკონომიურ და ფინანსიურ სფეროში.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა აგრეთვე მიიღოს საჭირო ზომები ქვეყნის მორალურ და მატერიალურ ინტერესების დასაცავად“.

სტეფანის სააგენტო მიუთითებს ამ რეზოლიუციაზე და აბათილებს ხმებს ზოგიერთი მინისტრის გადადგომის შესახებ.

## ესტონეთის ამბები.

## ინგლისელი დელეგატი ქალი ესტონეთში.

რეველში მოვიდა ინგლისის მუშათა პარტიის დელეგატი ქალი ლაურენსი.

მისი მიზანია გაეცნოს ესტონეთის პროფ-მოძრაობას და პირველი დეკემბრის ამბებს.

ლაურენსმა ინახულა მუშათა სახლი და ესაუბრა დახვრეტილ და დაპატიმრებულ მუშების ნათესავებს.

## „უღირსოდ მოქცევისათვის“.

სამსახურიდან დაითხოვეს ესტონეთის ჯარის ოფიცერი ლორინცი, რომელიც არ იღებდა ზომებს ესტონეთის გამოსვლების წინააღმდეგ.

ამავე მიზეზითვე დაითხოვეს ოფიცერი შებერგიც.

აკრძალულ იქნა ყოველგვარი შეკრება შობა-ახალ წლის დღესასწაულებზე.

## მსგავსად მეფის არმიისა.

## სიკვდილ მისჯილის „თავისუფლება“.

ესტონეთის სპეციალურმა კომისიამ დაამთავრა სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავება და წარუდგინა მთავრობას დასამტკიცებლად.

ხსენებული კოდექსი წარმოადგენს მეფის რუსეთის კოდექსის ცოტათი შეცვლილ ასლს.

კოდექსში დაცულია სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით, მაგრამ სიკვდილით დასასჯელს ეძლევა „თავისუფლება“ ამოირჩიოს რომელიც მას სურს: ჩამოხრჩობა თუ დახვრეტა.

## გონება-მახვილი სამინისტრო.

## ახალი ბრძოლის საშუალება მშრომელთა წინააღმდეგ.

ესტონეთის საშინაო საქმეთა სამინისტრო მიმართავს ახალ ბრძოლის საშუალებებს მუშების წინააღმდეგ.

მუშათა მოძრაობაში ყველა შემჩნეული მონაწილენი დატუსაღებულ და მოთავსებული იქნებიან საპატიმროებში მანამ, სანამ ისინი არ დაუსახელებენ მთავრობას იმ სახელმწიფოს, რომელიც თანახმა იქნება მიიღონ ისინი თავის ქვეშევრდომად.

## ინგლისის პროფკავშირები და ესტონეთის რეაქცია.

ლონდონის პროფკავშირთა საბჭო გაცხოველებით არჩევს საკითხს მუშათა დევნის შესახებ ესტონეთში, საბჭოთა მდივანს კარმაიკელს მუდმივი კავშირი აქვს ამ საკითხში ლონდონში მყოფ ესტონეთის მისიასთან.

ამავე საქმეში მონაწილეობას ღებულობს სამთო-მადნო მუშათა პროფკავშირების მდივანი კუკი.

## სიტყვა სხვაა-საქმე სხვაა.

ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის მთავარმა საბჭომ უარი განაცხადა გააგზავნოს თავისი წარმომადგენლები კონფერენციაზე, რომელსაც აწყობს პროფკავშირთა უმცირესობა პროფმოძრაობის მთლიანობის შექმნის მიზნით.

უმცირესობის ალმასკომის მდივანმა პოლიტმა ამის შესახებ განაცხადა:

„ეს უარი არ არის მოულოდნელი. როცა დელეგაცია დაბრუნდა მოსკოვიდან, აშკარა შეიქნა, რომ მათი აღფრთოვანება თანდათან მოდუნდა. ამან არ უნდა გააკვირვოს რუსეთის მუშები, ვინაიდან დელეგაციაში შედიოდენ რეაქციონური პირები.

მთავარი საბჭოს უარი ერთიანობის შექმნაზე იმას არ ნიშნავს, რომ საბჭო უარს იტყვის ინგლის-რუსეთის ერთიანი კომიტეტის შექმნაზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის ლიდერები წინააღმდეგი არიან პროფმოძრაობის მთლიანობისა მხოლოდ თავის საკუთარ ქვეყანაში.

ეს გადაწყვეტილება დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მასებზე, რომლებიც დაინახავენ განსხვავებას სიტყვასა და საქმეს შორის ამ საკითხში.

მაგრამ კონფერენცია პროფმოძრაობის გაერთიანების შესახებ მაინც შესდგება, რომელიც ნაყოფიერ შედეგს მოიტანს.

# ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭოში.

20 დეკემბერს მოხდა ინგლისის პროფკავშირთა მთავარი საბჭოს სხდომა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ დელეგაციის შესახვედრად.

დელეგაციამ მოკლედ გააკეთა მოხსენება 21 დეკემბერს სრული ანგარიში მზად იქნება ერთ თვეში.

ამასთანავე მთავარმა საბჭომ გაარჩია მუშათა პარტიის ცენტრ. ორგანიზაციის წერილი, რომელშიაც მოითხოვენ სპეციალიური კომიტეტის შედგენას „ზინოვიევის წერილის“ საქმის გამოსაძიებლად. გენერალურმა საბჭომ თანხმობა გამოაცხადა კომიტეტში მონაწილეობის მიღებაზე.

მთავარ საბჭომ განიხილა აგრეთვე მიწვევის ბარათი პროფკავშირთა მთლიანობის კონფერენციაზე, მაგრამ ეს წინადადება საბჭომ არ მიიღო.

ლიბერალური პრესა ეხება საბჭოს უარს და ამბობს, რომ ეს დიდ ზიანს მოუტანს პროფინტერნს და მუშა პარტიის მემარცხენა ფრთასო.

---

## ჩინეთის მეზღვაურთა გაფიცვები.

ფრემანტლოში (დასავლეთ ავსტრალიაში) გაიფიცა (პირველად) ჩინეთის მეზღვაურები, რომლებიც მუშაობენ ავსტრალიის წყლებზე. გაფიცვები დამთავრდა მუშათა გამარჯვებით. სამუშაო ხელფასი გადიდებულ იქნა 126 შილინგამდი 40 ს ნაცვლად.

---

# საბჭოთა კავშირში

## მწერალთა ყრილობის მომწყობ კომისიის მიმართვა.

## ასლი ბეჭვდითი საქმის განყოფილებას.

პროლეტარულ მწერლობის საკავშირო თათბირის საორგანიზაციო კომისია სთხოვს გადაეცეს პროლეტარულ მწერლების, მუშკორების, მუშფაკების ადგილების ორგანიზაციებს და სხვა ლიტერატურულ წრეებს შემდეგი:

5 იანვარს შესდგება პროლეტარულ მწერლობის საკავშირო თათბირი.

ყოველ ათ კაცზე არჩეულ უნდა იქნას 1 დელეგატი.

დელეგატებს მიეცემა ბინა და სასმელ საჭმელი. სამგზავრო ხარჯებისთვის უნდა მიმართონ ადგილობრივ პრესის განყოფილებებს, თანახმად რკპ ს ცეკას პრესის განყოფილების რადიოგრამისა, № 24189, ვორეიკოსის ხელის მოწერით.

საორგანიზაციო კომისია: დემიან ბედნი, ვარდინი, სიმონ როდოვი, ნარბუტი, სანნიკოვი, რასკოლნიკოვი და ბეზიმიანსკი.

## კიდევ ერთი ვერაგობის მსხვერპლი.

პირველ მაისის ოლქში სოფელ ბლამოდატნოეში დასჭრეს გვერდში სოფლის კორესპონდენტი აფანასიევი.

ეჭვით შეიპყრეს ბლაგოდატნოეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარე როჟკოვსკი და გლეხი ლეიხერი.

---

## საუბარი ერიხ მიუზამთან.

როსტას კორესპონდენტი ესაუბრა მიუნხენის ციხიდან ახლახან განთავისუფლებულ ერიხ მიუზამს. მიუზამის ჯანმრთელობას ცუდი დაღი დაასვა პატიმრობამ. მისი პოლიტიკური გეზი შელახულია პატიმრობის პერიოდში პოლიტიკურ ცხოვრების ჩამოშორების გამო მას განზრახვა აქვს თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა მოახმაროს ბრძოლას გერმანიის პატიმარ რევოლიუციონერთა განთავისუფლებას.

მიუზამი თავს უწოდებს ანარქისტს და არ იზიარებს გერმანიის კომპარტიის პოლიტიკას პარლამენტარიზმისა და პროფკავშირების საკითხებში.

მეორეს მხრივ მიუზამი ისტორიულად არის დაკავშირებული გერმანიის კომპარტიასთან და ხშირად გამოსულა მიუნხენში და სხვაგან როგორც პარტიის სპეციალური ორატორი.

რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს, მიუზამმა განაცხადა, რომ მისი 22 წლის მოღვაწეობა მიმართული იყო მუშათა კლასის სოციალ-დემოკრატების გამცემლობის წინააღმდეგ, ვინაიდან სოციალ-დემოკრატია ყოველთვის იდგა და დღესაც სდგას როგორ მაგარი და საშიში კედელი რევოლიუციის სოციალ-დემოკრატებს შორის.

---

## საფრანგეთის კომკავშირის ყრილობის ანგარიშები.

საფრანგეთის კომკავშირის წარმომადგენელმა მუტომ როსტას თანამშრომელს მიაწოდა საფრანგეთის კომკავშირის ყრილობის ანგარიშები:

„პირველად—განაცხადა მან—ჩვენს ყრილობას დაესწრო რუსეთის კომკავშირის წარმომადგენელი, რომელმაც გააკეთა მოხსენება ლენინიზმზე და ტროცკიზმზე. ყრილობამ მხარი დაუჭირა ლენინიზმს ტროცკიზმის წინააღმდეგ.

უკანასკნელ ორი კონგრესის შორის საფრანგეთის კომკავშირმა დიდი ნაყოფიერი მუშაობა აწარმოვა“.

შემდეგ მომხსენებელი ეხება დაწვრილებით მუშაობის მსვლელობას, ნაკლსა და დადებით მხარეებს.

დასასრულ ის აცხადებს, რომ მე-4-ე კონგრესი დიდი ნაბიჯია წინ კომუნისტურ ახალგაზრდობის ზრდისა და საფრანგეთის კომკავშირის გარდაქცევისათვის ლენინურ კომკავშირად.

---

## აზერბეიჯანი.

30 დეკემბერს შესრულდა ერთი წელი, რაც აზერბეიჯანის გაზეთი „კომუნისტი“ დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. გაზეთმა მიიღო მილოცვის დეპეშები რკპ-ს ცეკას ბეჭდვითი საქმის განყოფილებიდან, გლეხთა ინტერნაციონალიდან, გაზ. „პრავდას“ რედაქციიდან, იაპ. კომუნისტ კატამაიასაგან, ამ. კავკასიის სახკომსაბჭოსაგან, ბაქოს და თფილისის გაზეთების რედაქციებიდან და სხვა.

---

## მდგომარეობა აჭარისტანში.

29 დეკემბერს შეეცადენ გაეწმინდათ თოვლისაგან რკინის გზის ხაზი, მაგრამ ამაოთ. თოვლის საწმენდი ვაგონი ბარცხანასთან ასცდა ლიანდაგს.

30 დეკემბერს გზის გასაწმენდათ გამოვიდა აურებელი ხალხი და ნაშუადღევის პირველი საათისათვის ბათომ-სამტრედიის ხაზი გაწმენდილი იყო.

ბათომში სასურსათო საკითხი მოგვარებულია შინავაჭრობის სამართველოს მიერ მიღებული ზომების წყალობით. ფასების აწევისათვის და პატიმრეს მრავალი ვაჭარი.

მაზრებში დიდი თოვლი მოვიდა. მიმოსვლა შეწყვეტილია. ფუხარა ხალხი გამოვიდა გზების გასაწმენდათ. მაზრებში სურსათი საკმაოთ არის.

მუშაობა ჰიდრო-სადგურის მოსაწყობად შეჩერებულია. ზარალი არ არის.

გოროდოკში თოვლმა ჩაანგრია რამოდენიმე ნავთის რეზერვუარის სახურავი, ნავთი დაიქცა.

მიღებულია ზომები ცეცხლის გაჩენის და სხვა რეზერვუარების დაზიანების წინააღმდეგ.

## რკინის გზებზე.

პირდაპირი მიმოსვლა თბილისსა და ბაქოს შუა უკვე აღდგენილია. დაიწყო დერბენტადან დატვირთული ვაგონების გამოგზავნა. ამიერიდან ყოველდღიურათ გამოიგზავნება საქ ნლით დატვირთული 100 ვაგონი. სადგურების გზები ჯ კიდევ დაფარულია თოვლით. ჯერჯერობით კიდევ გრძელდ ვაგონების აცდენა ლიანდაგიდან რელსების გაყინვის გამო.

დასავლეთის მხარეზე თოვა გრძელდებოდა საღამოს საათამდი. ზღვაზე გრიგალი ისევ მძვინვარებს. ოთხი საა დან ამინდი თანდათან წყნარდება, ამინდის ოდნავ დაწყნარ ბის გამო შესაძლებელი გახდა ბათომიდან მატარებლების მოგზავნა. სურამის უღელტეხილზე მატარებლების მიმოსვ სწარმოებს მატარებლებს წინ მიუძღვის თოვლის მწმენდე მატარებლები. დღეისათვის მთელ ხაზზე იქნება აღდგენი მოძრაობა.

მდგომარეობა ყოველგან ნორმალურს უახლოვდება, ხ ლო ნერვიული მდგომარეობა არის ტყიბულის ხაზზე; მო დიდი თოვლი და ყინავს, მიუხედავად ამისა, მატარებლე მიმოსვლა არ შეწყვეტილა. ყოველდღიურად იტვირთება ათი ვაგონი ქვანახშირი. ადგილობრივი მოსახლეობა მონა ლეობას იღებს გზების გაწმენდაში.

მოძრაობის უფროსმა ამხ. აბელაშვილმა განაცხადა, რ რკინისგზაზე ნორმალური მდგომარეობა აღდგენილი იქნ ერთი კვირის განმავლობაში.

## ყინვები სოხუმში.

ყინვების გამო, რომელიც 7 გრადუს აღწევს, დაიღ ყველა ბანანები. საცდელი სადგური ფიქრობს, რომ ყი დაზარალებს სხვა მცენარეებსაც. ყინვების გამო, გლეხებს ტა შემოაქვთ პროდუქტები, რომელთა ფასები იზრდება. გიერთი პროდუქტები გაძვირდა 50—70 პროცენტით.

ახალი სენაკი. 29 დეკ. მაზრაში ყინვები აღწევს 7 გ დუს ნულის ქვევით.

## ქარბუქის შედეგები.

ბაქოში 28 დეკემბერს განახლდა მუშაობა სამრეწველ ებში. სასარეწაო რაიონში იპოვეს 8 გაყინული გვამი, რ ლბიც გაყინული იყვნენ.

კომუნალური მეურნეობის განყოფილება შეუდგა ქა ქის წმენდას თოვლისაგან. ფიქრობენ, რომ კომუნალურ ურნეობის ზარალი დიდი არ იქნება. ქალაქის რაიონები ვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება წესიერად სწარმოებს. მვაის მოძრაობა სავსებით აღდგენილია. ტრამვაის ზარალი ჩერების გამო უდრის 13.000 მანეთს. ტრამვაის ტეხნიკ მოწყობილობა არ მოშლილა.

წყალსადენის აუზების ზედმეტად ავსების გამო წყ დაიღვარა და აავსო ახლო მდებარე ეზოები და სარდა 15 ოჯახი უსახლ-კაროთ დარჩა.

---

## ქ. მ. დივიზიის მეოთხე პარტ-კონფერენციის შედეგები.

(გაგრძელება)

კონფერენციას არ შეეძლო არ გაეწია ანგარიში ჩვენ სინამდვილესთვის, რასაც დღევანდელს ჩვენს მუშაობაში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი სოფლის მდგომარეობა, კონფერენციისათვის ერთერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა იმდენათ, რამდენათაც ჩვენი წითელი ლაშქრის რიგებს ავსებს თავისი დიდი უმრავლესობით სოფლის უღარიბესი გლეხკაცობა.

კავშირი ქალაქსა და სოფლის შორის შეადგენს დღეს მუშურ-გლეხურ მასების საარსებო ინტერესს. ჯერ ერთი, რომ ჩვენი წითელი ლაშქარი არის სოფლის შვილები, მეორე ის უდგას სადარაჯოთ მუშების და გლეხების ხელისუფლებას, რომელიც იცავს მათ ინტერესებს თავადების, ბურჟუა-კაპიტალისტების და მემამულეების კონტრევოლიუციონურ ზრახვებისაგან. ამიტომ პარტიის ამოცანებმა სოფლად მიიპყრო კონფერენციის ყურადღება ყველაზე უფრო მეტად. მრავალი შეკითხვები და დიდი კამათი გამოიწვია, თუ როგორი პრაქტიკული ნაბიჯი შეუძლია გადადგას წითელ ჯარმა, რომ პარტიის ამოცანები სოფლად შესისხლხორცდეს და ჩვენი სოფელი გახდეს ის ქვაკუთხედი, რომელიც იქნება ქალაქის მუშებთან საუკეთესო ძალა კომუნიზმის განსახორციელებლად.

ამ მიზნისათვის გამოყენებულ უნდა იქმნეს ყველა ის ცნობები, წერილების თუ სხვა რაიმე სახით, რომელიც მოდის წითელ არმიელს სოფლიდან; შვებულებაში თუ მივლინებაში ყოფნის დროს ჩვენი წითელი არმიელი უნდა იქმნეს დაინტერესებული სოფლის ცხოვრების გამორკვევაში, რითაც ხელს შეუწყობს სოფლის ცხოვრების გაუმჯობესებას და მით შეძლებას მოგვცემს ჩვენი მუშაობა სოფლად დავაყენოთ თავის სიმაღლეზე. ასეთი ხასიათი ქონდა კონფერენციის მსჯელობას, რომლის დასკვნებით ამხანაგებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგ მუშაობაში სოფლად. კონკრეტიული მითითებები: 1) მაქსიმალურად გამოყენება სოფელთან კავშირის განსამტკიცებლად გლეხკაცობაზე, შეფობის აღდგენა იქ, სადაც ასეთი კავშირი გაწყვეტილი არის, მიწოდება მათთვის გაზეთების, ლიტერატურის, წარმოება საუბრების, ინდივიდიუალური და მასიური სახით, და სათანადო ახსნა-განმარტება საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებაზე, 2) შექმნა ურთიერთ ძმური შეგნებული კავშირის, რომელი იქნება თავდები ქალაქსა და სოფელს შორის ხიდის გადების და მათ შორის ძმური თანაგრძნობის დამყარება, 3) გამოყენება ტერნაწილების, იქ სადაც ჩვენს ნაწილებს უხდება დაახლოვება და კავშირის დაჭერა, ვინაიდან მილიციონური ჯარით მოფენილია საქართველოს ყველა კუთხეები, ის შეჩვეულებულია გლეხკაცობაში და მას შეუძლია დიდი ნაყოფის მოტანა სოფელთან დაახლოვების საქმეში, 4) გაღვივება წითელ არმიელთა თვით მოქმედების ორგანოების მუშაობის, უმეტეს წითელ არმიელთა წერილების ბიუროების სოფელთან სათანადო დაახლოვების მიზნით, 5) გამორკვევა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციის, პარტიული უჯრედების და ლიციის მოქმედების, 6) ს ლის გადასახადების გაწერი აკრების თვალყურის დევ 7) აღზრდა წითელ არმიე მასების ისეთნაირად, რომ ნი გახდნენ საუკეთესო მ შავენი, დამცველნი და ტარებლები საბჭოთა ხელ ფლების ამოცანებისა სოფ როცა ისინი წავლენ ყ მიდან უვადო შვებულე 8) დიდი ყურადღების მი პარტიაში მიღების დროს უპირატესობის მიცემა იმ იონებზე, სადაც ნაკლებ სრულებით არა გვყავს კ ნისტური პარტიის და ა. წევრები, რომ მით შეძ მივცეთ პარტიას მიყრუ რაიონებთან მჭიდრო კავ აღადგინოს და განამტკ თავისი მუშაობა, 9) მა ლური ყურადღების მი წითელ არმიელთა და ოჯახების შეღავათების გებლობაში და სხვა.—აი ლოვებით უმთავრესი ხვები, რომლებსაც პასუხი კონფერენციამ და რითაც და ვიხელმძღვანელოთ შემდეგ მუშაობაში.

გ. სიხარული

(გაგრძელება იქნება)



## მოგვეცით სინათლე.

2-რე ლეგიონის ყაზარმებში უსინათლობამ სისტემატი-[ურ]ი ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით ადგილი აქვს ამას დი-[ლ]ობით. წამოიშლებიან თუ არა წითელ არმიელები სანა-[ო]რები ქრებიან და ატყდება ერთი აურ-ზაური.

ბნელაში არმიელები ვეღარ ნახულობენ ტანსაცმელს, [ფე]ხსაცმელებს და სხვ. ამასობაში საკმაო დრო გადის, რა-[ც] თანსდევს ამოკითხვაზე დაგვიანება და უკმაყოფილება. [ს]ულებში არა გვაქვს ლამფები, რომ ასეთ შემთხვევებში [გამ]ოგვადგეს. ბნელში ტანსაცმლის ძებნის დროს არმიელე-[ბი] ერთმანეთს ეჯახებიან და ცხვირ პირს იმტვრევენ.

თუ ეს უსინათლობა ასე გაგრძელდა საჭიროა ლეგიონის [შტა]ბმ მოგვაქციოს ყურადღება და შეიძინოს ლამფები.

შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ლეგიონ-[შ]ი. მოგვეცით სინათლე.

სამხკორი ზ. წუნორელი.

## ყურადღება წითელ არმიელების წერილებს.

ოჯახებიდან გამოგზავნილ წერილებს ძლიერ აგვიანდე-[ბათ] წითელ არმიელის ხელში მისვლამდე. ჩვენს პირველ სა-[არ]ტილერიო ლეგიონში ეს ჩვეულებრივ მოვლენად არის გა-[და]ქცეული. მშობლებიდან გამოგზავნილ წერილებს ერთი [ან] ორი თვის შემდეგ ღებულობენ, რაც დიდ უკმაყოფილე-[ბა]ს იწვევს მათში. საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს [არ]მიელების წერილების დროზედ გადაცემას ფოსტა-ტელე-[გრ]აფის მიერ. ეს დაუდევრობა უნდა მოისპოს.

კარგი იქნებოდა რომ ამაზედ იზრუნებდეს თვით ლეგი-[ონ]ი.

მეტი ყურადღება წ. არმიელების წერილებს.

სამხკორი ტ. ხეველი.

## ახკომკავშირელთა შორის.

27 დეკემბერს შესდგა პირ-[ვე]ლ ცალკე საკავშირო ასეუ-[ლი]ს ახკომკავშირელთა ჯგუფის [რ]იგი კრება.

[დ]ღის წესრიგში იდგა შემ-[დე]გი საკითხები:

[1)] მეოთხე რაიკომის ახ. ლენი-[ნუ]რ კომკავშირის 7 თვის მუ-[შა]ობის და 2) დისციპლინის [შ]ესახებ.

[ახ]კომკავშირის მეოთხე რაიკო-[მ]ის მუშაობის შესახებ მოხ-[სენ]ება გააკეთა ამხ. თავართ-[ქი]ლაძემ. მან ვრცლად გააცნო [კრ]ებას ხსენებულ რაიკომის [ღი]რსებები და დეფექტები. მო-[ხსე]ნებამ გამოიწვია მრავალი [შე]კითხვები. მოხსენება დამაკ-[მა]ყოფილებლად ჩასთვალა კრე-[ბამ].

მეორე საკითხის გარშემო [ილ]აპარაკა ამხ. ნუცუბი-[ძემ], მან ხაზი გაუსვა იმ გა-რემოებას, რომ ახ. ლენინურ კომკავშირელთა შორის ნაკლებად ექცევა ყურადღება პარტ-დისციპლინას, რაც საჩქაროდ უნდა იქნეს გამოსწორებული.

ბოლოს განცხადებით გამოვიდა ამხ. ქელიძე, რომელმაც მოითხოვა, რათა ახ. კომკავშირის წევრებს დაევალოს სხვა და სხვა პოლიტიკურ საკითხზე მოხსენებების გაკეთება. მართალია მათ პირველ ხანებში შეიძლება გაუჭირდეთ ამის შესრულება, მაგრამ ამას ის მნიშვნელობაც ექნება, რომ ისინი შეეჩვევიან ხალხში გამოსვლას და თამამად ლაპარაკს.

ამხანაგის წინადადება სიამოვნებით იქნა მიღებული კრების მიერ.

სამხკორი შალაშინი.

## ჩვენი კუთხეები განათლების ცენტრია.

[პ]ირველ ლეგიონის სამნეო [ასეუ]ლში, აქამდეც არსებობდა [ლე]ნინის კუთხე, მხოლოდ უად-[გი]ლობის გამო ის ვერ იდგა [თა]ვის სიმაღლეზე.

[ა]მ ჟამად, ჩვენს შენობაში [გა]თავსებული საარტილერიო [ლეგიონი]კი გადაყვანილი იქნა და [ლე]ნინის კუთხის გალამაზება [და] გაფართოვება შესაძლებე-[ლი] შეიქნა. ყაზარმაში შემდე-[გი] კუთხეები მოვაწყვეთ: ლე-[ნი]ნის კუთხე, საჰაერო ფლო-[ტი]ს კუთხე და სხვა.

[ლ]იტერატურა საკმაოდ მო-[ვი]პოვეთ.

[ყ]ოველგვარი კულტურული ხასიათის მუშაობას სისტემატიურად ვაწარმოებთ აღნიშნულ კუთხეებში.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. ჩვენს ლეგიონის ყველა ასეულებში მრავლად მოიპოებიან ახკომკავშირის წევრები.

ლეგიონში კი მათთვის საჭირო ლიტერატურა სრულიად არ მოიპოება, რაც არა სასურველი მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. საჭიროა, პოლიტ-განყოფილება მოგვაქცევდეს შესაფერ ყურადღებას და უზრუნველგვყოფდეს შესაფერი ლიტერატურით.

წით. მოლ. გ. მარგიშვილი.

## პოლიტ-ლატარეია.

საღამოს ხუთი საათია... პ ირველი საარტილერიო ლეგ. კლუბი სავსეა წითელ არმიელებით... ყველა ფუს-ფუსში არიან, იმეორებენ, იზეპირებენ მას, რაც უსწავლიათ.

—აბა, ბიჭო, მარჯვეთ საჩუქარი იქნებ შეგვხვდეს. გაისმის არმიელებში.

ამხ. არველაძემ მოკლე სიტყვით განმარტა არმიელების ლატარიის მნიშვნელობა და შემდეგ დაიწყო ბილეთების ამოღება.

...ფხიზლად, თამამად გამოდიან ამხანაგები ამოღებულ კითხვებზე პასუხის გასაცემად. ყველა სხარტად იძლევა პასუხს. თუ გაუგრძელე შეკითხვები, შედიან როლში და მშვენიერ აგიტატორს სჭვრეტ ამხანაგებში.

არა დამაკმაყოფილებელ პასუხებს იშვიათად გაიგონებთ. თითქმის ყველა ღებულობენ სათანადო საჩუქრებს და გახარებული გარბიან თავიანთ ამხანაგებთან.

ამ საღამოს მოწყობილმა პოლიტ-ლატარეიამ დაგვანახა, რომ ჩვენი ახალწვეული არმიელები თითქმის დავაკაცებულან პოლიტიკურად. საპასუხოდ გამოსული წითელ არმიელები ცდილობდენ საფუძვლიანი პასუხი გაეცათ და განსაკუთრებული ინტერესით მოგვითხრობდენ თავის აზრებს.

ვისურვებთ კიდევ უფრო გაღრმავებითა საარტილერიო ლეგიონის არმიელებს ეს ცოდნა და შესაფერი მომზადებით დაბრუნებოდენ თავიანთ სოფლებს.

გ. ლახელი.

## ყოველმხრივად გვეხმარებიან.

ქ. ლიუქსემბურგის აღმასკომი და ადგილობრივი ხელისუფლება დიდ დახმარებას უწევს მეექვსე ტერ-ლეგ. მეექვსე ასეულს. ჩამოსვლისთანავე როგორც მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობა ისე წითელ არმიელები დავაბინავეს მშვენიერ ბინებში.

10 დეკემბერს ადგილობრივი ორგანიზაციებთან გავაბით კავშირი და დაგვპირდენ ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას. სამაზრო აღმასკომმა თავს იდო ჩვენი ბარგის გადმოტანა. საცხოვრებელ ბინებში გაიყვანეს ელექტრონის განათება. შეკეთდა, შელამაზდა შენობა და მშვენივრად მოვეწყვეთ.

ადგილობრივი მცხოვრებლებიც ძლიერ მოხარული არიან ჩვენი ჩასვლით და ყველაფერში გვიწყობენ ხელს. დიდ დახმარებას გვიწევს აგრეთვე ადგილობრივი „ეპო", რომელიც უსასყიდლოდ გვიცხობს პურს ჩვენი ქვილით. ახ. ლენინურ კომკავშირის სამაზრკომო მდივნები მიმაგრებული არიან ჩვენს ნაწილზე და იდეურ ხელმძღვანელობას უწევენ წითელ-არმიელებს.

საერთოდ ჩვენი ასეული თანდათანობით ეწყობა.

შევიძინეთ შეშა. საცხოვრებელი ბინები საკმაოდ თბება, სადაც ვახშამი და ჩაი თავის დროზე მზადდება წითელ არმიელებისათვის.

პოლიტ-საათები და სხვა ხასიათის მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. არმიელებიც გულმოდგინეთ ეკიდებიან მეცადინეობას.

ვარ. მელქაძე.

## ანტირელიგიური საღამო.

29 დეკემბერს ჩვენს ცენტრალურ კლუბში ცენტრალურ პარტსკოლის და პირველ დივიზიის სამხედრო პოლიტსკოლის კურსანტების ძალებით, ცენტრ-პარტსკოლის და ქართულ წითელი ჯარის დაახლოვების მიზნით გაიმართა ანტირელიგიური საღამო—კომკავშირის შობა— ფართე პროგრამით. საღამოს დაესწრენ როგორც თბ. გარნიზონში მდგომი ქართული ნაწილების წითელ არმიელები და კურსანტები, ისე ცენტრ. პარტსკოლის კურსანტები.

საღამოს დაწყებამდე ფოიეში გაიმართა პოლიტთამაში— საჩუქრებით.

პირველ განყოფილებაში ხორომ შეასრულა ინტერნაციონალი და შემდეგ დაიწყო „სიტყვები ქართულ წითელი ჯარის და ცენტრპარტსკოლის კურსანტების დაახლოვების მნიშვნელობაზე, კომკავშირის შობაზე და საერთოდ რელიგიის მნიშვნელობაზე.

მეორე განყოფილებაში ცენტრალურ პარტსკოლის კურსანტების ძალებით დაიდგა ორ მოქმედებიანი აგიტპიესა: „კომკავშირის შობა",

შემდეგ სამხედრო პოლიტსკოლის კურსანტებმა დადგეს „საკიამეჩი", რომელიც ძლიერ ლამაზად იქნა შესრულებული.

მეოთხე განყოფილებაში წარმოდგენილი იქნა „სულის მამა", პიესამ ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება.

ბოლოს გაიმართა კონცერტი.

პოლიტსკოლის კურსანტთა მომღერალმა გუნდმა მშვენივრად შეასრულა რამოდენიმე რევოლიუციონური სიმღერა.

საღამო შინაარსიანი იყო. კარგი იქნებოდა ხშირად გაიმართებოდეს ასეთი დამაახლოვებელი საღამო-წარმოდგენები.

ს—ნ.

# პარტიული ცხოვრება

### 1-ლი ლეგიონის ბიურო კოლექტივის ოთხი თვის მუშაობის ანგარიში.

20 დეკემბერს, პირველ ლეგიონის ბიურო კოლექტივმა მოიწვია ლეგიონის საერთო პარტიული კრება, რომელზედაც ბიუროს ოთხი თვის განმავლობაში მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბიურო კოლექტივის მდივანი ამხ. კვირაია.

კრება გახსნა ლეგიონის სამხკომმა ამხ. ბაახიამ და მოუწოდა ამხანაგებს საქმიანი მუშაობისაკენ.

ბიურო კოლექტივის მუშაობა, როგორც მომხსენებლის ანგარიშიდან გამოირკვა, შემდეგი სახით ყოფილა:

საერთო მუშაობა კოლექტივს დაუწყია აგვისტოდან, მხოლოდ პირველი დეკემბრიდან კი დაწყებულა ლეგიონში კომუჯრედების ჩამოყალიბება. ამ ჟამად ლეგიონში არსებობს ათი კომუჯრედი. ამხ. მოყავს აგრეთვე ცნობები ლეგიონის პარტიამშენებლობის შესახებ. უჯრედებში პროპორციონალურად ყოფილა განაწილებული ერთნაირი მომზადების ამხანაგები. კომუჯრედების პასუხისმგებელ მდივნებათ არიან 3 წითელ არმიელი, 6 მეთაური და ერთი პოლიტხელი.

ბიურო უწევდა საერთო ხელმძღვანელობას კომუჯრედებს.

აძლევდა კრებებისათვის დღის წესრიგს, ხშირად იწვევდა კომუჯრედების მდივნების კრებებს და მათთან ერთად ირჩეოდა ყველა ძნელად გასაგები ცირკულიარები და სხვა.

პირველ ხანებში ბიუროს მოწყობილი ქონია ლეგიონში პარტიული წრეები, მაგრამ ეხლა ისინი არ არსებობენ, რადგან უგეგმოთ შეუძლებელი შეიქნა მათი მეცადინეობა.

პარტიული საწევრო გადასახადების საქმე სხვა და სხვა მიზეზების გამო აქამდე არ ყოფილა მოწესრიგებული. კოლექტივს დაუნიშნავს განსაკუთრებული კომისია, რომელიც მოაგვარებს ამ საქმეს.

კოლექტივს აგვისტოდან დღემდე 10-ჯერ ქონია სხდომა. ამხ. კრებას აცნობს ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც გარჩეულან ამ სხდომაზე.

ლეგიონში არსებული სხვა და სხვა კომისიებში და ორგანიზაციებში კოლექტივს მიმაგრებული ყოლია თავის კაცები, რომლებიც თავის მხრივ აცნობდენ ბიუროს ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობას.

კავშირი პარტ. სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

ბიუროს კავშირი ქონია მესამე რაიკომთან. ერთი ჩვენი ამხანაგი ითვლება ხსენებულ რაიკომის წევრად, რაც უფრო ამტკიცებს ჩვენსა და მათ შორის დამოკიდებულებას. ასეთივე კავშირში ვართ ქალთა ორგანიზაციასთან, პირველ ქართულ დივიზიის და არმიის პოლიტსკოლებთან, რომელთა წარმომადგენლები სისტემატიურად ესწრებოდენ ბიუროს სხდომებს. ლეგიონის თითეულ უჯრედებზე ქართ. პარტსკოლის მიმაგრებული ყავს თითო კურსანტი.

ახკომკავშირელთა შორის მუშაობა.

ლეგიონის ყველა ასეულებში დაარსებული იქნა ახკომკავშირელთა ჯგუფები. თითეულ მათგანს ყავს თავის ორგანიზატორი, ხოლო საერთოდ ლეგიონში კი ლეგიონის ორგანიზატორი. პარტმუშაობის პროგრამის უქონლობის გამო, მათთან ძლიერ ცუდათ სდგას მეცადინეობის საქმე.

პარტ-დისციპლინა და სხვა.

პარტ-დისციპლინა ლეგიონში კარგად არის დაცული. ყოველგვარი პარტ დავალებები პირნათლად სრულდება ამხანაგების მიერ.

ბიურო კოლექტივს მიზნათ ქონია აიყვანოს თავის მზრუნველობის ქვეშ რომელიმე სოფელი და გაუწიოს მას დახმარება ყოველმხრივად. ამას გარდა ბიუროს ხელმძღვანელობით ლეგიონმა აიყვანა შეფობის ქვეშ პიონერები, რომლებზედაც საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად მიმაგრებული იქნენ ორი ამხანაგი.

ბიურო კოლექტივი დიდათ აფასებს თვალყურს აგრეთვე პრესაში ლეგიონის და საერთოდ წითელ არმიელთა ყოფაცხოვრების საკითხების გაშუქებას. ამ მხრივ ის ახალისებს არმიელებს. თითეულ უჯრედს ყავს აგრეთვე საკუთარი პარტკორი, რომელიც შეძლების-დაგვარად აშუქებს პრესაში უჯრედის საქმიანობას.

მომხსენებელი კიდევ შეეხო ლეგიონის დანარჩენ ორგანიზაციების მუშაობას და ბოლოს შეკითხვებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც ზოგიერთი შემთხვევების გამოკლებით ბიურო კოლექტივის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ჩათვლილი.

ბიუროს წევრებად არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: აამხ. ამხ. ბაახია, კვირაია, ანდღულაძე, ნუცუბიძე და იმნაიშვილი, ხოლო კანდიდატებათ კი ამხ. ამხ. ჯანელიძე და ჩახუნაშვილი.

შემდეგ არჩეული იქნენ აგრეთვე დივიზიის პარტკონფერენციაზე გასაგზავნი 10 დელეგატი და კრებაც დაიხურა.

სამხკორი ხ. იმნაიშვილი.

## განვაგრძოთ მუშაობას.

(მეთაურთა სკოლის 1 ლი ასეული.)

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი კურსანტების უმრავლესობა დაითხოვეს მოკლე ვადიან შვებულებაში, სკოლაში დარჩენილი კურსანტები მაინც გულმოდგინებით მეცადინეობენ სხვა და სხვა საგნებში.

კურსანტების წასვლის გამო. განწესება ხშირად გვიწევს, მაგრამ—სამეცადინოთ მაინც ვშოულობთ დროს. ერთ წუთსაც არ ვკარგავთ უსაქმოდ.

ვახდენთ კრებებს და ვარჩევთ სხვადა სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ხშირად ვაწყობთ პოლიტ-ლატარეიას, რაც ძლიერ აინტერესებს ამხანაგებს.

ვატარებთ აგრეთვე ცოცხალ გაზეთს და სხვა ეხლა განზრახული გვაქვთ კედლის გაზეთის გამოშვება. ამის გარდა შემო გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს და მზადდება საჭირო მასალები.

კურსანტი **ვ. თავაძე.**

## ამბები სოფლებიდან.

**სასოფლო სამეურნ. სკოლები.**

ბორჩალოს აღმასკომმა დაადგინა გახსნას შაუმიანში სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

**მეფუტკრეობა ახალციხის მაზრაში.**

წარმოკავშირი აწყობს ახალციხის მაზრაში საფუტკრე ფერმას. აღმასკომმა ამ მიზნით გადასცა 21 ძირი სკა.

**სკოლა სოფლის ახალგაზრდობისათვის.**

სოფ მეჯვრისხევში (გორის მაზრა) გაიხსნა სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, სადაც სწავლობს 17 ახალგაზრდა.

**საჩვენებელი მინდვრები.**

ახალციხის აღმასკომმა დაადგინა გადასცეს წარმოკავშირს თავის კუთვნილი ბაღები საჩვენებელი მინდვრების მოსაწყობათ.

**საქონლის ჭირი.**

ლაგოდეხის რაიონში (ალაზანს გაღმა) გაჩნდა საქონლის ჭირი. უკვე გაიგზავნა საექიმო რაზმი, რომელმაც აცრა 200 სულ საქონელს.

**ელსადგურის აგება.**

ალბულაღის რაიონში (ტფ. მაზრა) მდინარე ხრამზე განზრახულია ელექტრო სადგურის და ხიდის აშენება.

## ახალი ამბები.

— **დ-ვიზიის პოლიტგანყოფ-ლებასთან.** დაარსდა ჭადრაკის ძოთამაშეთა (შახმატი) წრე. წრეში მიიღებიან ყველა სამხედრო მოსამსახურენი (როგორც წით. არმიელები, ისე უფპოლიტშემადგენლობა) მეცადინეობა იწარმოებს არა მცოდნეებთანაც. ჩაწერა იწარმოებს 3 იანვრიდან.

— **წერა-კით. უც. ლიკვიდაცია.** 1-ლ ქართულ დივიზიაში წერა-კით. უცოდინარ წითელ-არმიელებთან მეცადინეობა დამთავრდება და მათი გამოშვება მოხდება თებერვლის შუა რიცხვებში.

— **სახ. მასწავლებელთა კონფერენციები.** 12 იანვრისათვის დანიშნულ სრულ. საკავშირო მასწავლებელთა ყრილობაზე დელეგატების ასარჩევათ ახლო ხანში მოწვეულ იქნება ტფილისის, ბათომის და ქუთაისის გარნიზონების სამხ მასწავლებელთა კონფერენციები.

— **წითელ-არმიელი მასწავლებლები.** მასწავლებელთა შტატის სიმცირის გამო ზოგიერთ სამხ. ნაწილებში გამოყოფილნი არიან თვით წითელ-არმიელი მასწავლებლები.

— **ტრამვაის ხაზის განახლება** ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა განაახლოს ტრამვაის ხაზი რუსთაველის პროსპექტზე.

**სტიპენდიებისათვის.** პროფტექნიკური განათლების გავრცელების მიზნით ტფ. ქ ლ. აღმასკომმა გადადო სტიპენდიებისთვის 7640 მან.

— **საგულე ნიშნები.** სოც. უზრ. კომისარიატმა შეიმუშავა საგულე ნიშნის ფორმა გლეხკომების წევრებისათვის.

— **სამეცნიერო მიზნებისთვის.** მომავალი წლის განმავლობაში განათლების კომისარიატს განზრახული აქვს დახარჯოს სამეცნიერო მიზნებისთვის 100 ათასი მანეთი.

— **ქოხ-სამკითხველოების შესანახათ.** ტფილისის მაზრაში არსებულ ქოხ-სამკითხველოებისა და კლუბების შესანახათ მომავალი წლის განმავლობაში განზრახულია დაიხარჯოს 23.100 მანეთი.

— **თემებათ დაყოფა.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ცნობით უკვე ჩქარა დამთავრდება რესპუბლიკაში სათემო სისტემაზე გადასვლა.

— **საბინაო კოოპერატივები.** ამ დღეებში ტფილისში გაიხსნება საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობების გაფართოებული თათბირი.

— **საქ. მასწავლებელთა კონფერენცია.** შაბათს, 3 იანვარს ტფილისში გაიხსნება, სრულ. საქართველოს მასწავლებელთა კონფერენცია.

## მეცნიერება და ტეხნიკა.

### გასაოცარი საფერავი.

გერმანია ყოველთვის განირჩეოდა სხვა სახელმწიფოებიდან მაღალ ხარისხოვან საფერავების დამზადებით.

ამ ჟამადაც, როგორც იტყობინებიან იქ დაუმზადებიათ მეტად გასაოცარი თვისების საფერავი.

საფერავი ერთნაირ წინააღმდეგობას უწევს, როგორც ცეცხლს და სინესტეს, ისე სხვა და სხვა სიმჟავეებს.

საფერავს ხმარობენ ხეების, ქვების, დუღაბის, რკინის და სხვათა შესაღებავად. საღებავით შეფერილი ხე არ იკარგს ცეცხლს.

ამ მიმართულებით მომხდარმა ცდებმა სავსებით დაამტკიცეს ამ საღებავის ღირსება. საღებავით შეღებილი ხე ვერ დასწვა 1200 გრადუსის სიცხიანმა ალმა. საღებავი დიდ წინააღმდეგობას უწევს აგრეთვე სინესტეს, რაც დამტკიცებული იქნა სპეციალური ცდებით.

**ცოფის მომგვრელი აირი.**

ამერიკაში გამოსცადეს ახალი აირი. ცდების დამსწრენი შეიარაღებული იყვნენ სპეციალური ნიღაბებით, რომ თავი დაეცვათ აირის ზედმოქმედებისაგან. მიუხედავად ამისა აირი გავიდა ნიღაბებშიდაც. შედეგად მიიღეს ის რომ ორი კაცი აირმა იქვე მოსწამლა და მოჰკლა. სამი ჰკუისაგან შეირყა, ხოლო შვიდი კი მძიმეთ დაავადმყოფდენ. დახოცილები რამოდენიმე საათის განმავლობაში უშვებდენ შხამიან აირს, რომელიც ცოფს ჰგვრიდა ახლოს მოსულ ხალხს.

ექიმების გამოკვლევამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო.

ერთი კი ცხადია. აირის მოქმედებით ადამიანი ჰკუაზე ირყევა.

აირი მიიღებს ბენზინიდან, მასში ზოგიერთ ნივთიერებათა განზავების შემდეგ.

**ნავთის ხელოვნურად დამზადება ფიქალის-გან.**

შვეციაში უკვე დაიწყეს ფიქალის (сланец) ჯიშებისაგან ხელოვნურად ნავთის გამოყვანა. მიღებული ნავთი ძლიერ მაღალი ხარისხის არის, ხოლო მის დასამზადებლად ძლიერ მცირე ხარჯებია საჭირო. ფიქრობენ, რომ შვეციის ხელოვნური ნავთი კონკურენციას გაუწევს ბაზარზე ბუნებრივ ნავთსო.

**ვეშაპის მოყვანილობის მსწრაფლ მავალი ნავი.**

ინგლისში ამ ჟამად ამზადებენ ერთგვარი ტიპის მსწრაფლ-მავალ ნავს. თავისი მოყვანილობით ნავი ძლიერ წააგავს ნაპირზე გადმოგდებულ ზღვის ვეშაპს.

ნავის კონსტრუქტორების გადმოცემით, ის იმდენად შეგუებული იქნება წყალთან, რომ ზღვაზე დიდი ღელვის დროსაც კი შეეძლება მას აიღოს დიდი სიჩქარის რეკორდი.

ნავზე დადგმულია 450 ცხენის ძალის მამოძრავებელი.

**აღმოაჩინეს ყელჭირვების ბაცილა.**

ყელჭირვების მიკრობი—ბაცილა აქამდე არ იყო აღმოჩენილი.

მედიცინისათვის ცნობილი იყო, რომ ავადმყოფობას აქვს თავის მიკრობები, მაგრამ მათი აღმოჩენა ვერ მოახერხეს. ამ ჟამად იტალიელებმა შესძლეს ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობის ნაყოფიერად დაგვირგვინება. გამორკვეულ იქნა, რომ ყელჭირვების მიკრობები იმყოფება ზურგის ტვინის სითხეში და აქვთ უმცირესი ბურთულების მოყვანილობა.

## სამხედრო ტრიბუნალი

**26** ამ დეკემბერს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გოგიჩაიშვილის თავჯდომარეობით განიხილა 1-ლ ქართული ლეგიონის წითელ მოლაშქრე მიხეილ საველის ძის აბადოვსკის საქმე. აბადოვსკის ბრალდება დეზერტირობა. სასამართლოს სხდომაზე მოწმის და თვით ბრალდებულის დაკითხვით გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული აბადოვსკი 13 ნოემბერს თავისი ნებით წასულა ნაწილიდან, დაუყვია სახლში რამოდენიმე დღე, რომლის შემდეგ ყოფილა შეპყრობილი და მოყვანილი და ჩარიცხული ნაწილში 20 ნოემბრიდან. ბრალდებულმა იცნო თავი დამნაშავეთ წაყენებულ ბრალდებაში და განმარტა, რომ მან სახლში გაიპარა, რადგან მას სახლიდან ბარათი მიუღია, რომლითაც იტყობინებოდენ მისი ცოლის მძიმე ავადმყოფობას, რაც წარუდგინა ასეულის თავს და რადგან შვებულება ვერ მიიღო, ის თავის ნებით წავიდა, დაყო რამოდენიმე დღე და შემდეგ იქნა შეპყრობილი ნაწილიდან გაგზავნილი ათისთავის ასლამაზოვის მიერ.

სასამართლომ დამტკიცებულათ სცნო მასზე წაყენებული ბრალდება და მიუსაჯა მას ორი თვე საჯარიმო გუნდში მოთავსება.

**გნია.**

პასუხისმგებელი
რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

## სამნეო დარგის საკითხები.

თოფ-იარაღის მოვლა-შენახვაზე.

ყველ ჯარის ნაწილის სამნეო დარგში მოიპოება ბნელი კუთხეები, რომლის ნაკლულევანებანი გამჟღავნებული და მოსპობილ უნდა იქმნას. გამოცდილმა სამნეო მუშაკმა ყველგან უნდა მიიხედ-მოიხედოს.

წინა წერილებში ლაპარაკი იყო ნივთსაწყობზე, სასურსათო საწყობზე, საკუჭნაოზე და პურის საცხობზე; ახლა თვალი გადავავლოთ თოფ-იარაღის საწყობებს და ერთეულის სხვა და სხვა სახელოსნოებს. თოფ-იარაღის და ვაზნების სათანადო შენახვა უნდა იყოს სამნეო მუშაკის ერთი უმთავრესი საზრუნავი საგანი. თოფი შეიძლება დაგვჭირდეს ყოველ წუთს და სრულიად მოულოდნელად, მაშასადამე როგორც ის თოფები, რომელიც ინახება საწყობში, აგრეთვე ისიც, რაიც წითელ-არმიელების ხელშია, მუდამ უნდა იყოს სუფთად და ბრძოლისთვის გამზადებული. ყუმბარები, ვაზნები და სხვა ასაფეთქებელი მასალა უნდა ინახებოდეს სრულიად განცალკავებულ შენობაში და განსაკუთრებული სიფრთხილით.

აბა შევიხედოთ იმ შენობაში, სადაც ინახება თოფები, სულ ყველაფერი თავის რიგზეა? არა. იქ თქვენ დაინახავთ გამტვერიანებულ თოფებს და მიყრილ-მოყრილ ვაზნებს, იმ ვაზნებთან—კიდევ იმ ნივთებს, რომლებიც უნდა ინახებოდეს ნივთსაწყობში.

**დაუშვებელი მაგალითი ერთეულში.**

ამ დღეებში შემდეგ დაუშვებელ შემთხვევას ქონდა ადგილი ერთ-ერთ ჩვენი ლეგიონთაგანის საწყობების დათვალიერების დროს, სადაც ვაზნების ყუთთან გვერდზე ეწყო: უნაგირის კეხები, ცხენის ჩულები და სხვა და სხვა მოკაზმულობა. ეს ცხენის ჩულები მე ვნახე სულ ახლები იმავე ადგილას ამ ერთი წლის წინად, იყო სულ 50 ცალი, იქნებ ცოტა მეტიც.

ეს ნივთები აქნობამდის ისევე აწყვია, მხოლოდ ახლები კი არა, უკვე ჩრჩილისგან შეჭმული და გაფუჭებული. ჩემს შენიშვნაზე სამნეო ნაწილის გამგე, რასაკვირველია შეეცადა დაერწმუნე მე, რომ ჩულები ამ ცოტახანში იყო გამზევებული და გასუფთავებულიო, მაგრამ მე იქვე დაუმტკიცე მას, რომ რწმუნება იყო სულ ზედმეტი, ვინაიდან ჩულებში იყო აღმოჩენილი ჩრჩილი და მისი ბუდეები, მგონი თითქმის ამ წლის გაზაფხულიდგან.

შეუხედნია კი ამ საწყობში სამნეო კომისიას?

შეიძლება შეიხედა და ვერაფერი ვერ დაინახა, ან კიდევ სრულიად არ იყო დაინტერესებული ამ საკითხით.

ამ ნაირ „წესიერება“ ს ჰქვია სამსახურობრივი დაუდევრობა და მისი ჩამდენი უნდა სასტიკად დაისაჯოს.

**მუშაობა სახელოსნოებში.**

დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ ერთეულში სახელოსნოებს: თოფ-იარაღისას, ტანისამოსისას, ფეხსაცმლისას, ცხენის საკმაზულობისას, სადურგლოს და სამჭედუროს. აქ დიდი თვალყურის ჭერაა საჭირო სამნეო კომისიების მხრივ. არავისთვის არაა საიდუმლო, რომ ამ სახელოსნოებში მეტი ყურადღება ექცევა კერძო (ფასიან) საქმეს, ვიდრე წითელ არმიელის ტანთსაცმელის დაკერებას და სხვა ამგვარ სახაზინო საქმეს.

არის ხოლმე ისეთი შემთხვევა, როდესაც სახაზინო მასალა იხარჯება კერძო პირების საქმეზე და ნაადრევადათაც ფუჭდება იარაღი, რაიც ცოტა გვაქვს ჩვენ. თუ არა აქვს ადგილი ამნაირ ბოროტ მოვლენას, მაინც არის სახელოსნოებში სხვა ნაკლულევანებანი, როგორიცაა მაგალითად: მტვერი სახელოსნოებში, ზედმეტი ხალხის ტრიალი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ სახელოსნოში და სხვა და სხვა.

მეტი ყურადღება ერთეულის სახელოსნოებს.

(შემდეგი იქნება.)

ს. შკუნი.

## განცხადებები

პარასკევს, 2 იანვარს 1925 წ. ცენტრალ. კლუბში დილის 10 საათზე შესდგება სემინარების მორიგი მეცადინეობა.

სავალდებულოა დასწრება კლუბის უფროსების, პოლიტხელების, ბიბ-გამგეების და ასეულის ბიბ-გამგეებს.

ხელმძღვანელი **ტ. წვენიევი.**

**1 ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედიდან.**

კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომკავშირის წევრს ამხ. დავით დიასამიძეს, რომ გადარიცხულ იქმნეს კომპარტიის კანდიდატად. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი გთხოვთ თუ ვინმემ იცით უარყოფითი მხარე აღნიშნულ ამხანაგის კომპარტიაში მიღების შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერად კომუჯრედში. (მისამართი: დავიდოვის ქუჩა № 6 1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის ყაზარმა).

კომუჯრედის პ.-მგ. მდივ. **ახალაშვილი.**

**გამოვიდა**

**ქართულ 1 და 2 დივიზიის პოლიტგანყოფილების გამოცემა № 7.**

**სახელმძღვანელო პოლიტსაათის მეთოდიკისათვის**

შესყიდვის პირობები და სხვა გვარ ცნობების მიღება შეიძლება პოლიტგანყოფილებაში.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 150.